

სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 15

ქ.თბილისი

13 ივნისი 2014 წელი

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მ.თავზარაშვილმა, კომისიის წევრების: ე. ნაჭყებიას ვ. სამხარაძის, ი.ჩიქავას მონაწილეობით მ/წლის 13 ივნისს შევადგინეთ ოქმი შემდეგზე:

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის გ. ქერაშვილის ოქმი.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ამა წლის 30 მაისს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩი რუსთავის „ხარები“-სა და თბ „თსუ“-ს შორის. მატჩის მეთვალყურის გ. ქერაშვილის ოქმის მიხედვით, კლუბ თბ „თსუ“-ს მწვრთნელი გ. ჯავახიშვილი და კლუბ რუსთავის „ხარები“-ს მწვრთნელი რ. თევზაძე გამეგებულნი იქნენ მოედნიდან მთავარი მსაჯის თ. გვირგიშვილის გადაწყვეტილებებზე აპელირების გამო.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.1 პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კლუბ თბ „თსუ“-ს მწვრთნელი გ. ჯავახიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 3 (სამი) სათამაშო კვირით.
2. კლუბ თბ „თსუ“-ს დააკლდეს 3 (სამი) საცხრილო ქულა.
3. კლუბ რუსთავის „ხარები“-ს მწვრთნელი რ. თევზაძე დისკვალიფიცირებული იქნას 3 (სამი) სათამაშო კვირით.
4. კლუბ რუსთავის „ხარებს“ დააკლდეს 3 (სამი) საცხრილო ქულა.
5. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი № 1-ს 1.4 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლუბის მიმართ გამოყენებული იქნება ამავე პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინარული სასჯელი.

/ე. ნაჭყებია /

/ ი.ჩიქავა/

/ვ. სამხარაძე/

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/

